**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №3**

19 ნოემბერი, 2025 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
12:00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:**
არჩილ ნიჟარაძე, შალვა სუთიაშვილი, თინათინ ნიბლოშვილი, შოთა ქევხიშვილი, ნოდარ ბოკერია, ოთარ ჩრდილელი და გიორგი ქარდავა.

**სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი არჩილ ნიჟარაძე.**

**სხდომის დღის წესრიგი:**

1. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (**№12-032531815-03; 14.11.2025)**

**მომხსენებელი:** ლევან მიქავა
**თანამდებობა:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

**მოისმინეს:**
სხდომის თავმჯდომარე, არჩილ ნიჟარაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხი.**

არჩილ ნიჟარაძემ სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეს ლევან მიქავას.

ლევან მიქავას მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 2 082 482,2 ათასი ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 983 178,0 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 99 304,2 ათასი ლარით. ხოლო განათლებისა და კულტურის მიმართულებით, ბიუჯეტი წარმოდგენილია შემდეგნაირად: განათლება – 300 602,4 ათასი ლარი; ათასი ლარი; კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა – 50 558,8 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 656 339,7 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 278 531,3 ათასი ლარი; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 292 760,6 ათასი ლარი; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 3 079,5 ათასი ლარი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 47 491,3 ათასი ლარი; ჯანმრთელობის

დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 182 384,4 ათასი ლარი; განათლება - 300 602,4 ათასი ლარი; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 50 558,8 ათასი ლარი; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 13 196,7 ათასი ლარი. ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 257 537,5 ათასი ლარი.

განათლება დაიგეგმა - 261 539,9 ათასი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (248 047,1 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 13 492,8 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობას 218 588,2 ათასი ლარის ოდენობით (გრძელდება დაწყებული პროექტების დაფინანსება, მათ შორის: ავარიული საბავშვო ბაგა-ბაღების ადგილას ახლის მშენებლობა და ავარიული ბაღების გამაგრება/რეაბილიტაცია: გრძელდება 1 არსებული ბაღის ნაცვლად ახლის მშენებლობა, ხოლო დასრულდება 5 საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა/ რეაბილიტაცია (მათ შორის 2 არსებული ბაღის ნაცვლად ახლის მშენებლობა და 3 ბაღის შენობის კაპიტალური რეაბილიტაცია), გაგრძელდება შემდეგი პროგრამების/ქვეპროგრამების დაფინანსება: სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა, ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა, უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა, პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა, იურიდიული კლინიკა და სხვა.

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 50 558,8 ათასი ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (39 294,0 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 11 264,8 ათასი ლარით. გაგრძელდება კულტურის ობიექტების (თეატრები, მუზეუმი, გალერეა, საბალეტო დასი, ბიგ-ბენდი, პანთეონი) დაფინანსება, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა, წარმატებული სპორტსმენი ბავშვების და მწვრთნელთა მხარდაჭერა, პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (მათ შორის მუხიანის რაგბის კომპლექსის მოედნების რეაბილიტაცია, დაიწყება "ამერის" სპორტული კომპლექსის (მოედნების) სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება), სპორტული და კულტურის დაწესებულებების მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები; გრძელდება ფიზიკური დატვირთვების სკრინინგი (სპორტულ ცენტრებში 18 წლამდე ასაკის ბენეფიციართა ფიზიკური 7 დატვირთვების და ჯანმრთელობის სკრინინგი) და სპორტი უფროსი თაობისთვის (60 წლის და 60 წელს გადაცილებული მოქალაქეებისთვის უსასყიდლოდ სპორტული სერვისებით სარგებლობა). დაიწყება დიღმის მასივში, მე-3 კვარტალში მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები (მრავალწლიანი პროექტი). ასევე, გათვალისწინებულია სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა და სხვა.

**განათლების სფეროს განვითარებისთვის საბიუჯეტო ასიგნებები გადანაწილებულია შემდეგნაირად:**

- **„სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა“** (კოდი 07 01 02) – 248,784.7 ათასი ლარი;
- **„ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“** (კოდი 07 02 01) – 142.2 ათასი ლარი;
- **„თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა“** (კოდი 07 02 05) - 9,000.0 ათასი ლარი;
- **„თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები“** (კოდი 07 02 06) - 3,291.2 ათასი ლარი;
- **თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ნაძალადევის რაიონში** (კოდი 07 02 06 02) - 8,255.4 ათასი ლარი;
- **თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დიდუბის რაიონში** (კოდი 07 02 06 03) - 3,541.0 ათასი ლარი;
- **თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩუღურეთის რაიონში** (კოდი 07 02 06 04) - 2,449.5 ათასი ლარი;
- **თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ვაკის რაიონში** (კოდი 07 02 06 05) - 872.9 ათასი ლარი;
- **თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები საბურთალოს რაიონში** (კოდი 07 02 06 06) - 3,423.8 ათასი ლარი;
- **თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ისნის რაიონში** (კოდი 07 02 06 07) - 1,128.7 ათასი ლარი;
- **თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები სამგორის რაიონში** (კოდი 07 02 06 08) - 4,105.1 ათასი ლარი;
- **თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები კრწანისის რაიონში** (კოდი 07 02 06 09) - 4,310.0 ათასი ლარი;
- **თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები მთაწმინდის რაიონში** (კოდი 07 02 06 10) - 7,784.3 ათასი ლარი;
- **„მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა“** (კოდი 07 03 03) – 5,647.7 ათასი ლარი;
- **„პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“** (კოდი 07 04) – 2,500.0 ათასი ლარი;
- **„უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება“** (კოდი 07 05) – 4,191.8 ათასი ლარი;
- **„უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების** ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 01) – 235.0 ათასი ლარი;
- **„იურიდიული კლინიკა“** (კოდი 07 05 02) - 956.8 ათასი ლარი;
- **„სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა”** (კოდი 07 05 03) – 3,000.0 ათასი ლარი;
- **„მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა“** (კოდი 07 06 01) – 4,266.2 ათასი ლარი.

**კულტურის სფეროს განვითარებისთვის საბიუჯეტო ასიგნებები გადანაწილებულია შემდეგნაირად:**

- **„თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა“** (კოდი 08 01) –3,842.2 ათასი ლარი. მათ შორის, **„ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი"** (კოდი 08 01 01) – 940.8 ათასი ლარი, **„პანტომიმის სახელმწიფო თეატრი"** (08 01 02) – 710.1 ათასი ლარი, **„თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი"** (08 01 03) – 1,108.4 ათასი ლარი, **„სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრი“** (08 01 05) – 635.9 ათასი ლარი, **„სამეფო უბნის თეატრი"** (08 01 08) – 447.0 ათასი ლარი;
- **„სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა“** (კოდი 08 02) – 4,151.4 ათასი ლარი;
- **„ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია“** (კოდი 08 03) – 3,621.1 ათასი ლარი;
- **„ე. ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა“** (კოდი 08 03 10) –223.3 ათასი ლარი;
- **„მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა“** (კოდი 08 03 12) – 3,397.8 ათასი ლარი;
- **„ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების განვითარება“** (კოდი 08 04) –2,682.6 ათასი ლარი. მათ შორის, **საკონცერტო ორკესტრი „ბიგ-ბენდი“** (კოდი 08 04 01) – 1,004.3 ათასი ლარი; **„ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა“** (კოდი 08 04 03) – 628.3 ათასი ლარი.
- **„კულტურული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები“** (კოდი 08 04 04) – 1,050.0 ათასი ლარი;
- **„კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“** (კოდი 08 05) – 3,000.0ათასი ლარი;
- **„შემოქმედებითი თბილისი“** (კოდი 08 09) – 1,250.0 ათასი ლარი;
- **„საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“** (კოდი 08 10) – 750.0 ათასი ლარი;
- **„თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი“** (კოდი 08 12) – 621.9 ათასი ლარი;
- **„ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა“** (კოდი 08 13) –100.0 ათასი ლარი.

**განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, არჩილ ნიჟარაძის განმარტებით „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან მიმართებით კომისიას შენიშვნები არ აქვს, თუმცა რეკომენდაციებს შემდეგი მიმართულებით წარმოადგენს:**

I. განათლებისა და კულტურის კომისია რეკომენდაციას უწევს მუზეუმების, ხელოვნების სკოლების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლისა და სახლების და ბიბლიოთეკების მოდერნიზების პროცესის გაგრძელებას, მათი ფუნქციონირებისა და საქმიანობის თანამედროვე გამოწვევებთან შესაბამისობაში მოყვანასა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას; ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლასა და დაცვას. **განსაკუთრებით, მნიშვნელოვანია, რომ მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების**

**გაერთიანების ხელშეწყობის (კოდი 07 03 03) მიზნით, ბიუჯეტში მოხდეს დამატებითი ასიგნების გამოყოფა 1 250 000 ლარის მოცულობით, რომლითაც შესაძლებელი იქნება ბიბლიოთეკის ორი ფილიალის (#23;33) კაპიტალური რემონტის განხორციელება ნაძალადევის და ვაკის მედიათეკების მიმდინარე რემონტის განხორციელება; ბიბლიოთეკის ორი ფილიალის (N19-ის და N27-ე ) რემონტის პროექტების შეძენა; N23-ე და N33-ე ფილიალების - ავეჯი, საფონდო ლითონის სტელაჟები, ინვენტარის შეძენა;**

**ასევე 542000 ლარის ასიგნების გამოყოფა გაერთიანებაში არსებული 34 ფილიალის მოძველებული შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტების უზრუნველსაყოფად.**

საჭირო სუბსიდიების გამოყოფის შემთხვევაში, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკის გაერთიანებას შესაძლებლობა ექნება განახორციელოს მომსახურების სერვისების გაუმჯობესება, კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი ღონისძიებების განხორციელება და ახალი თაობის წიგნით დაინტერესება.

II. განათლებისა და კულტურის კომისია რეკომენდაციას უწევს **კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებებისთვის (კოდი 08 04 04) დამატებითი ასიგნების გამოყოფას, კერძოდ, 4 000 000 ლარის გამოყოფა, რითაც შესაძლებელი იქნება რევაზ ლაღიძის სახელობის მე-4 ხელოვნების სკოლის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელება; 1 000 000 ლარის გამოყოფა თბილისის მერიის N21 ხელოვნების სკოლისთვის სარემონტო - სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის და არამ ხაჩატურიანის მე-10 სახელოვნებო სკოლის საპროექტო სამუშაოებისთვის 150000 ლარის გამოყოფა.** აღნიშნული შესაძლებლობას მისცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს შეუფერხებლად განახორციელოს ინფრასტრუქტურული პროექტები.

III. განათლებისა და კულტურის კომისია რეკომენდაციას უწევს **მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობის მიზნებისთვის (კოდი 08 03 12) მოხდეს 610 000 ლარის ოდენობით ასიგნების გამოყოფა** (მუზეუმების ვენტილაცია-კონდიცირება, გენერატორების და სხვა ტექნიკის მოვლის ხარჯი; ობიექტების ნაწილში ვიტრაჟების განახლება, ძველი, ამორტიზებული შენობების განახლება; კომპიუტერული ტექნიკის განახლება; სატრანსპორტო საშუალების შესყიდვა. მუზეუმები მთლიანად ადაპტირდება და ხელმისაწვდომი გახდება სხვადასხვა საჭიროების ადამიანებისთვის.

IV. საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისია რეკომენდაციას უწევს დედაქალაქისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საბიუჯეტო კოდში **„კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 05) მოხდეს 3 000 000 ლარის გამოყოფა.** გასული წლების ბიუჯეტით, თვალსაჩინოა, რომ აღნიშნულ მუხლში ხდება ცვლილებების შეტანა, რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ბიუჯეტში განსაზღვრული თანხა არ არის საკმარისი პროგრამის სრულფასოვნად განხორციელებისთვის, იმდენად, რამდენადაც დედაქალაქში მიმდინარე შემოქმედებითი პროცესების ხელშეწყობისთვის, საერთაშორისო/ადგილობრივი ფესტივალების გაძლიერებისთვის, თბილისის დამეგობრებულ ქალაქებთან და დედაქალაქისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქებთან კულტურის სხვადასხვა სფეროს ღონისძიებების ორგანიზებისთვის, დამოუკიდებელი რეჟისორების, სხვადასხვა თეატრის, თეატრალური და სახელოვნებო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი

პროექტების ხელშეწყობისთვის, თბილისში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისა და რელიგიური ღონისძიებების მხარდაჭერისთვის მნიშვნელოვანია შესაბამისი თანხის მობილიზება. აღსანიშნავია, რომ ხელოვნებისა და კულტურის სფეროს თვალსაჩინო წარმომადგენლების მხარდაჭერა სწორედ ამ საბიუჯეტო კოდიდან ხორციელდება.

**დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ ყოფილა.**

კომისიის წევრი გიორგი ქარდავა დაინტერესდა იგეგმება თუ არა ბაღებში გახანგრძლივებული ჯგუფების დანერგვა, რაზეც თინათინ ნიბლოშვილმა უპასუხა, რომ ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელთან ერთად დიალოგის ფორმატში შესაძლებელია განხილულ იქნეს აღნიშნული საკითხი, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ბაღები სრულად ფინანსდება მუნიციპალიტეტის მიერ, დამატებით გახანგრძლივებული ჯგუფების დანერგვა გამოიწვევს დამატებითი ფინანსური რესურსის მობილიზების აუცილებლობას, რომელსაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ამ ეტაპზე ვერ უზრუნველყოფს.

**დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (წერილი: №12-032531815-03; 14.11.2025) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი დაუბრუნდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს, წარდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით.**

| | |
|---|---|
| მომხრე | 7 |
| წინააღმდეგი | 0 |
| თავი შეიკავა | 0 |

**განათლებისა და კულტურის კომისიის წევრებმა, დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად ერთხმად დაადგინა:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ **(წერილი: №12-032531815-03; 14.11.2025)** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი დაუბრუნდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს, წარდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: არჩილ ნიჟარაძე